



საქართველოს 2026: ზრდის იმპულსი მჭიდრო მონეტარული პირობებისა და საგარეო არასტაბილურობის ფონზე

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა **2026 წლის პირველ კვარტალში 5.1%-ით, ხოლო მეორე კვარტალში 6.3%-ით გაიზრდება.** 2026 წელს წლიური ზრდა ყველაზე ცუდი სცენარის შემთხვევაში 4.9%-ია, ხოლო საუკეთესო ან საშუალო გრძელვადიანი ზრდის სცენარის შემთხვევაში – 6.3%-ით. ჩვენს საშუალო სცენარს (ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდაზე დაყრდნობით) რეალური მშპ-ის 6.1%-იან ზრდას პროგნოზირებს.



მონეტარულ ინდიკატორებს შორის, 2025 წლის დეკემბერში უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების (FC_DEPTOT) მხოლოდ 2.6%-იანი წლიური ზრდა დოლარიზაციის შემცირებაზე მიუთითებს¹. ამასთანავე, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები (NC_DEPTOT) წლიურად 26.7%-ით გაიზარდა, ხოლო M2 მონეტარული აგრეგატი წლიურად 25.5%-ით გაფართოვდა, რაც უფრო აქტიურ მონეტარულ პირობებსა და მოთხოვნის მხარის უფრო ძლიერ დინამიკაზე მიუთითებს. საერთო ჯამში, მონეტარულმა ინდიკატორებმა დადებითი წვლილი შეიტანეს პროგნოზში.

დეკემბერში ექსპორტი 22.5%-ით, იმპორტი კი 8.8%-ით გაიზარდა, რამაც სავაჭრო დეფიციტი 2.2%-ით გაზარდა². დეფიციტის ზრდის მიუხედავად, წმინდა ექსპორტის შედარებითმა გაუმჯობესებამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე. სავაჭრო დინამიკის გაძლიერებამ მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ აქტივობას ხელშეახები სტიმული მისცა, თუმცა ექსპორტის შემადგენლობის გამო მათი გრძელვადიანი წვლილი მდგრად ზრდაში შეზღუდული რჩება.

¹ დეპოზიტების დოლარიზაცია 2024 წლის დეკემბრის 53.9%-დან 2025 წლის დეკემბერში 48.6%-მდე შემცირდა, რაც წლიურად 5.3 პროცენტული პუნქტით შემცირებას წარმოადგენს.

² საქსტატი, 18.02.2026.

დეკემბერში აშშ დოლარი ლართან მიმართებაში 0.3%-ით გაუფასურდა, თურქული ლირა – 1.3%-ით, რუსული რუბლი – 1.4%-ით, ევრო კი ყოველთვიურად 1.6%-ით გამყარდა. გაცვლითი კურსის ამ ცვლილებების საერთო გავლენა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე უარყოფითი იყო. ამასობაში, ოფიციალური სარეზერვო აქტივები ყოველთვიურად 5.9%-ით გაიზარდა, რაც საგარეო ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.



დეკემბრის მონაცემებით, წლიური ინფლაცია 4%-ს შეადგენდა, რაც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს აღემატება. ამასობაში, ევრო ბრენტის სპოტ ფასი წინა წელთან შედარებით 15.3%-ით შემცირდა, რამაც გლობალური ხარჯების ზეწოლა შეამსუბუქა. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.